# თავისუფალი საქართველო

№34

1-7 ოქტომბერი 1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


## ომი დამთავრდა, მშვიდობისთვის ბრძოლა გრძელდება

Გასული კვირა ჩეჩნეთში ზელიმხან იანდარბიევის მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტის მოლოდინით აღინიშნა. პარალელურად გრძელდებოდა რუსეთის ჯარების გამოსვლა ჩეჩნეთის ტერიტორიიდან და საბოლოოდ ზუსტდებოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას კოალიციური მთავრობის შემადგენლობა.

ზელიმხან იანდარბიევის ვიზიტი მოსკოვში ერთხელ უკვე გადაიდო ჩეჩნეთის პრეზიდენტის ავადმყოფობის გამო. ამჟამად რუსეთის დედაქალაქში იმყოფება იანდარბიევის წარმომადგენელი და ათანხმებს მოლაპარაკებათა თემებს.როგორც წინასწარი მონაცემებით გახდა ცნობილი , დღის წესრიგში, უპირველეს ყოვლისა, დადგება ფინანსირების საკითხი. რუსეთის მხარე ცდილობს საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ სუბიექტს ეხმარება რუსეთისგან მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებასა და დანგრეული ეკონომიკის აღდგენაში, რაც იმაზედ მეტყველებს, რომ რუსეთში ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენიათ ჩეჩნეთის გასვლა ფედერაციიდან. თუმცა, მრავალი მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ჩეჩნეთი ამ სასტიკი ომის შემდეგ აღარასოდეს დაუბრუნდება რუსეთს, რომ ამ უკანასკნელმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ჩეჩენ ხალხს სამუდამოდ გაჰქრობოდა რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის სურვილი. უმეტესობის აზრით, ჩეჩნეთის ეკონომიკის ფინანსირება რუსეთის მხრიდან შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთგვარი რეპარაცია ნგრევისა და ზარალის საფასურად.

იუწყებიან, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტისა და რუსეთის პრემიერის შეხვედრაზე ჩერნომირდინი აპირებს ჩეჩნეთის კოალიციური მთავრობის შემადგენლობის მიზანშეწონილობის საკითხის დასმას. კერძოდ, რუსეთს განსაკუთრებით აღიზიანებს ამ მთავრობაში ცნობილი საველე მეთაურის - შამილ ბასაევის ყოფნა და მის მინისტრობას რუსეთის შეურაცხყოფად მიიჩნევს.

ჩეჩნეთში შექმნილი მდგომარეობა სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რუსეთის ხელისუფლება ცდილობს ე.წ. ავღანური ვარიანტის გათამაშებას და ამ მიზნით, ცალკეულ გავლენიან ტეიპებს(თემებს) შორის ურთიერთდაპირისპირების პროვოცირებას. უნდა ითქვას, რომ რუსეთის ამგვარი მცდელობები წარსულში ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. მიუხედავად დიდი კონკურენციისა, თვით ჩეჩნეთის მთავრობის ფორმირებისას არ ყოფილა სერიოზული წინააღმდეგობები. "რუსეთთან ომი ჩვენთვის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მის შესახებ განუწყვეტლივ გვახსენებს ყველაფერი ჩვენს ირგვლივ: გადამწვარი სოფლები და ქალაქები და, რაც მთავარია, დაღუპული ხალხი, ათასობით მშვიდობიანი მოსახლე... ნურავის ეგონება, რომ რუსეთის კეთილი ნების გამო გადიან ფედერალური ჯარები ჩეჩნეთიდან. არა, ის დამარცხდა ჩვენთან ბრძოლაში. მან ვერ შეძლო ჩვენი ერთობის გატეხვა" - განაცხადა შამილ ბასაევმა, რითაც კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ რუსეთი ხელსაყრელ მომენტში დაუყოვნებლივ განაახლებს საბრძოლო მოქმედებებს და მისი "მშვიდობისმოყვარეობა" მხოლოდ ამჟამინდელი უძლურებითაა გამოწვეული. ამგვარი უნდობლობა რუსეთის "ჰუმანიზმისა" და "მშვიდობისმოყვარეობის" მიმართ, სრულიად ბუნებრივია. დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ მისგან თავის დაღწევა მხოლოდ ბრძოლითაა შესაძლებელი და სწორედ ახლა, როცა იგი არნახულადაა დასუსტებული, არის ხელსაყრელი მომენტი ამ მიმართულებით მოქმედებისთვის. საგულისხმოა, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელები ხვდებიან, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაღებული მსხვერპლი შეიძლება სულ ფუჭი აღმოჩნდეს, თუკი კავკასიელი ხალხები ერთობლივი ძალისხმევით არ დაუპირისპირდებიან მტერს. საქართველოში ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩეჩენთა რამდენიმე დელეგაცია ჩამოვიდა. ასეთივე ვიზიტები შედგა სხვა რესპუბლიკებშიც. ჩეჩნები ამ შეხვედრისას ცდილობენ საერთო-კავკასიური სტრატეგიის გამომუშავებას და თავიანთი ინტერესების გადატანას ზოგადკავკასიურ პრობლემათა სიბრტყეში, რაც ერთადერთი გამოსავალია შექმნილ სიტუაციაში. ბუნებრივია, რომ ამ პრობლემათა ცენტრში კვლავინდებურად საქართველოს ენიჭება წამყვანი როლი. "საქართველო კავკასიის ცენტრია. მის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევთ დამოუკიდებლობას" - აცხადებენ ჩეჩნები. ამგვარი დამოკიდებულება საქართველოს შესანიშნავ შანსს აძლევს დაიბრუნოს კავკასიაში წამყვანი ძალის ფუნქცია და იქცეს კავკასიის ერთიანობის სიმბოლოდ, უპირველეს ანგარიშგასაწევ ძალად, რათა განხორციელდეს ზვიად გამსახურდიას მიერ საფუძველჩაყრილი ერთიანი კავკასიური სახლის იდეა. სამწუხაროდ, ეს იდეა განუხორციელებელ ოცნებად რჩება საქართველოს მარიონეტული რეჟიმის პირობებში, რომელიც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესმე გადადგამს რუსეთის ინტერესების საპირისპირო და კავკასიისთვის სასიკეთო ნაბიჯს.

*ნუგზარ წიკლაური*

## ევროსაბჭო - ახალი სარკმელი აფხაზეთისკენ?!

26 სექტემბერს ჩატარდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია, რომელის სხდომაც, ამ ხნის მანძილზე პირველად, ტელევიზიის პირდაპირი ეთერით იქნა გადაცემული. აფხაზეთის ბუტაფორული ხელისუფლება ნაფტალინიდან ამოიღეს, რათა სოხუმის დაცემის წინ მოეწყოთ კიდევ ერთი ტელეშოუ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სპექტაკლს არ აკლდა არც ოპტიმისტური ფონი, არც მოღალატეთა მხილების პათოსი, არც მუქარა მათი მისამართით, ვინც აპირებს ხელი შეუშალოს შეუმცდარ გენიას თავისი დიადი ზრახვების განხორციელებაში.

ამჯერად ეს მუქარის ტონი და თითის ქნევის მანერა პარლამენტის "მწვანე" სპიკერმა, ზურაბ ჟვანიამაც აიტაცა. სტრასბურგში ჩატარებული ევროსაბჭოს პარლამენტის სესიიდან დაბრუნებულმა, მან მოუთხრო საზოგადოებას, თუ რა სიმძაფრით გაიჟღერა ამ საერთაშორისო ფორუმზე აფხაზეთის თემამ, რა ამომწურავი მოხსენებით წარდგა ინგილისის წარმომადგენელი აფხაზეთის შესახებ ევროპული აუდიტორიის წინაშე და როგორ დაუჭირეს მხარი ევროსაბჭოს წევრმა ქვეყნებმა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (უკვე მერამდენედ?).

აღსანიშნავია ისიც, რომ ჟვანიამ ერთობ პოზიტიურ ფაქტად ჩათვალა სტრასბურგის ფორუმის მონაწილეთა მოწოდება რუსეთისადმი, მიიღოს ყველა ზომები აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად - ფორმულა, რომელსაც საქართველოს არსებული ხელისუფლების კვალდაკვალ იმეორებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია თუ მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები. მსგავსი მიმართვები, რომლებიც რეალურად კვლავ რუსეთს ავალებს საკითხის გადაჭრას, რა ხანია საქართველოში სადღება ევროპის დიდ მხარდაჭერად. მხოლოდ ამჟამად ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა მოწმედ მოიხმოს არა დისკრედიტირებული ეუთო და გაერო, არამედ ახალი საერთაშორისო სტრუქტურა - ევროსაბჭო, და ამით განამტკიცოს მითი თავისი პროდასავლური ორიენტაციის შესახებ.

ეს ბუნებრივიცაა, ეუთო-ს ეგიდით განხორციელებული სამშვიდობო ინიციატივების შედეგად, სამაჩაბლოში მშვიდობიანად მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ახალი რესპუბლიკის დაფუძნება. საგულისხმოა, რომ შევარდნაძემ, სწორედ საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის, დიტერ ბოდენის შუამავლობით, ფაქტობრივად ცნო ეს რესპუბლიკა. სწორედ ბოდენისა და შევარდნაძის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად - ოსებმა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებაც კი განიზრახეს.

პარალელურად ამისა, გაეროს მისია აფხაზეთში ავლენს სრულ უუნარობას არა მხოლოდ აკონტროლოს ვითარება, არამედ მოიპოვოს რამდენადმე დამაჯერებელი ინფორმაცია იქ არსებულ ტყვეებზეც კი. არსებითად, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრად საქართველოს მიღება პირადად შევარდნაძის უდიდეს დამსახურებად მიიჩნეოდა, ისეთივე ფარს უქმნის რუსეთის ექსპანსიონისტურ გეგმებს დაპყრობილ აფხაზეთში, როგორსაც შანიბოვისეული მთიელ ხალხთა კონფედერაცია უქმნიდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ომის დროს.

ევროსაბჭო ამ მხრივ ახალი ხილია, რამეთუ ჯერ რეალურად არ ჩართულა კავკასიური კვანძის გახსნაში და დღემდე დამკვირვებლის როლით შემოიფარგლებოდა. მეორე მხრივ, ეს მართლაც გავლენიანი საერთაშორისო სტრუქტურა თავის მოთხოვნებს უყენებს საქართველოს ხელისუფლებას - როგორც ეკონომიკის, ისე დემოკრატიული ინსტიტუტების რეფორმირების საკითხში, აგრეთვე ადამიანის უფლებათა სფეროში.

საერთაშორისო კონიუნქტურის თანახმად, როგორც რუსეთის, ისე მისი სატელიტი ქვეყნების ევროსაბჭოში მიღება, ცხადია, გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, მაგრამ, ამავე დროს, თავად ევროპელი პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს საშუალებას მისცემს დასავლეთს მეტად აკონტროლოს ვითარება ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე.

ესაა ზოგადი მოცემულობა, რომელიც დღეს არ შექმნილა, მაგრამ შევარდნაძე რისი "დიდი პოლიტიკოსია", თუ ეს მოცემულობა თავის დიდ დამსახურებად არ წარმოსახა თუნდაც დროებით.

ამგვარი შეთამაშება დასავლეთთან სრულიად უაცილებელი ხდება ქვეყნის კატასტროფული შიდამდგომარეობიდან გამომდინარე, მით უფრო, ზამთრის მოახლოებასთან ერთად. ამასთან, ქვეყნის შიგნით დღითი დღე მატულობს ხელისუფლებისადმი უნდობლობა და აშკარა ანტიპატია. საზოგადოების ის ნაწილიც კი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იმედით ელოდა ერთი მილიონი სამუშაო ადგილის ციდან ცვენას, შიშით ელოდება ზამთარს და აღარაფერს ელის ლეგენდარული დიპლომატისგან. ხალხის უმრავლესობა კი რა ხანია მიხვდა, რომ ღვთის ანაბარაა მიტოვებული და თვითონ თუ უშველის საკუთარ თავს, მაგრამ მაფიოზურ-კლანური მონოპოლიის ზრდასთან ერთად, ამის შესაძლებლობებიც სულ უფრო იზღუდება.

საქართველო ცხოვრობს კატასტროფის მდგომარეობაში და ხელისუფლებამ არც იცის და არც სურს მონახოს გამოსავალი ამ სტიქიური უბედურებიდან. ერთადერთი, რაც მას შეუძლია, შექმნას ახალ-ახალი ილუზიები და მირაჟების ეფექტით ცოტა ხნით მაინც ჩაახშოს ბუნებრივი პროტესტი, გაამართლოს თავისი არსებობა და მკაცრი ზომების აუცილებლობა.

*რომანოზ საგინაშვილი*

## რუსული სათამაშო კვლავ მოქმედებაშია

**დღეს ქართული პოლიტიკური ნება ისევე განიარაღებულია, როგორც ქართული ჯარი სოხუმზე შეტევის წინ**

27 სექტემბერს შევარდნაძემ განაცხადა, რომ არ დაუშვებს რუსეთის შეიარაღებული ბაზების შექმნას საქართველოში, სანამ არ იქნება მოგვარებული აფხაზეთის საკითხი. თავად საკითხის ამგვარად დასმა, როდესაც საქართველოში იზრდება მოძრაობა აფხაზეთში არსებული სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით, აშკარად ისახავს მიზნად აქცენტის გადაადგილებას: ხელი არ ახლოს იმას, რაც ისედაც მოქმედებაშია და ვითომ ებრძოლოს იმას, რაც ჯერ კიდევ არ დაკანონებულა. მეორე მხრივ კი, კვლავ რუსეთს ავალდებულებს გადაჭრას პრობლემა, მით უფრო, რომ ხსენებული ბაზების დიდი ნაწილი რეალურად უკვე ისედაც არსებობს, მხოლოდ ბოლო იურიდიულ შტრიხს საჭიროებს.

აღსანიშნავია რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის ერთობ დინჯი რეაქცია აფხაზეთის უკანასკნელ მოვლენებზე - "აფხაზეთის ხელისუფლებამ იჩქარა არჩევნების დანიშვნაო", ანუ ცოტა მოგვიანებითაც შეეძლოო. საეჭვოა, საქართველოს ხელისუფალთა საჩვენებელმა დემარშებმა მნიშვნელოვნად შეარყიოს რუსეთის ხელმძღვანელობის ეს სიმშვიდე. თავად ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მოსკოვში შეგნებულად იღებენ მაპროვოცირებელ გადაწყვეტილებებს. მისი აზრით, ზოგადი ვითარება საქართველოს სასარგებლოდაა და ეს გამოყენებული უნდა იქნეს.

ქარაგმებით მოსაუბრე სპიკერმა, ალბათ, იცის რაღაც მეტი, ვიდრე ჩვენ, მაგრამ არსებობს რაღაც მეტი, ვიდრე ის, რისი დემონსტრირებაც სურს ჟვანიას: გამოცდილებაზე დაფუძნებული რეალობის შეგრძნება.

ხანგრძლივი დიპლომატიური თამაშების შედეგად განმტკიცებულ სეპარატისტულ რეჟიმთა ბოლო ინიციატივები არამც და არამც არ წარმოადგენს მათი ნების გამოხატულებას ისევე, როგორც არ წარმოადგენდა 1993 წლის 16 სექტემბერს, თითქოსდა საიმედო ხელშეკრულებით მოპოვებული მშვიდობის შემდეგ, სოხუმზე შეტევის დაწყება. დღეს ქართული პოლიტიკური ნება ისეთივე განიარაღებულია მტრის წინაშე, როგორც იმ ავბედითი შემოდგომის დასაწყისში, როცა სოხუმში დაბრუნებული მოსახლეობა განიარაღებული დახვდა მოახლოებულ კატასტროფას. გავიხსენოთ, მთავარსარდალი არც მაშინ და არც მანამდე ერიდებოდა ანტირუსულ გამოხდომებს. ასე იყო საჭირო მაშინ. ასეა საჭირო ახლაც. მაგრამ უმალ მოუხმო რუსის ჯარს სამეგრელოში, რათა არ დაეკარგა წართმეული ძალაუფლება და ეს დღესაც საამაყოდ აქვს ქცეული.

და მაინც, რამ გამოიწვია ეს დემარში?

უთავრესი პრობლემა, რომელიც არა მხოლოდ უზარმაზარ სოციალურ ტვირთად აწევს ქვეყანას, არამედ უძლიერეს ფსიქოლოგიურ ბზარს ქმნის საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ესაა აფხაზეთის საკითხი. რაოდენ დატვირთულიც არ უნდა იყოს ობივატელიც კი თავისი პირადი პრობლემებით, ისიც კი ვერსად ემალება ამ სისხლმდენ ჭრილობას და მასშიც, ამა თუ იმ ფორმით, ვლინდება შინაგანი პროტესტი აფხაზეთის ფაქტობრივი დაკარგვის გამო. ამ პროტესტს ვერ ახშობს ვერც ნავთობმაგისტრალის ნათელი პერსპექტივები, ვერც არარსებული რეფორმების რეკლამირება, ვერც ლარის დოლართან გათანაბრების ილუზია, რამეთუ არსებობს მკაცრი რეალობა, რომელსაც ყველა თავის საკუთარ ტყავზე გამოცდის.

ეს რეალობა ბუნებრივად ავალდებულებს ყველაზე კანიბალურ რეჟიმსაც კი, ანგარიში გაუწიოს მას. ამიტომაც, შევარდნაძე იწყებს ახალ ოპერაციას ძველ რიტმებზე - საერთაშორისო ორკესტრის თანხლებით, რუსული "ვანკა-ვსტანკას" პრინციპზე: კარგა ხანს ქვედამხობილს თუ ხელი შეუშვი, ზეზე წამოიმართება. რატომაც არ შეუშვებენ - როცა ეს შენი სათამაშოა, გინდა ასე იყოს, გინდა ისე.

*ანა ჭავჭავაძე*

# მთელი კავკასიის დესტაბილიზაცია ჩეჩნეთის სანაცვლოდ

აფხაზეთის კონფლიქტის პაროდირებით არსებული ხელისუფლება ცდილობდა იმ ტრაგიკული შედეგების მიჩქმალვას, რომელიც მათ მიერვე მოწყობილმა ავანტიურამ მოუტანა ქართველ ხალხს. ამ ავანტიურის "აფხაზეთის ომად" სახელდებამ კიდევ უფრო "ჰეროიკული" გახადა ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ წამოწყებული "ომობანა" ეთნოკონფლიქტების რეგიონებში და მისი სამარცხვინო შედეგები.

საზოგადოებისთვის სრულიად მოულოდნელად, აფხაზეთის ტრაგედია არსებულმა ხელისუფლებამ ერთგვარი მოჩვენებითი "სიმწვავით" დასვა. სპიკერის რადიკალურ განცხადებას - "აფხაზეთის პრობლემის მოგვარების თაობაზე", პარლამენტი ტაშით შეეგება მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი არსებული ხელისუფლების ზრუნვის საგანი არასოდეს ყოფილა. სოხუმის დაცემის მესამე წლისთავიც ფაქტობრივი ხელისუფლებისთვის ჩვეული პომპეზურობით აღინიშნა. მოტყუებული და გაწირული მეომრების ხსოვნა კიდევ ერთხელ შეილახა, ხოლო აფხაზეთის პრობლემის მოგვარების აუცილებლობა ვითომდაც დღის წესრიგში დადგა. თუმცა, ეს არ იყო მხოლოდ საიუბილეო თარიღის გამო ატეხილი ფაციფუცი. ეს უფრო ცენტრიდან მიღებული დირექტივის განხორციელების სამზადისის დაწყებას ჰგავდა.

ახალგაზრდა სპიკერის "მწვავე" განცხადება სახელმწიფოს მეთაურის "დინჯმა და დიპლომატიურმა" მიმართვამ გაანელა. მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად შეცდომებისა, საქართველო პატიებს რუსეთს აფხაზეთთან დაკავშირებით დაშვებულ შეცდომებს და ყოველთვის მზადაა მის პოლიტიკურ კურსს მხარი დაუჭიროს. სახელმწიფოს მეთაურის მკვეთრად გამოხატული პოზიცია კი იმის დასტურია, რომ საქართველოს ხელისუფლება, არც კერძოდ აფხაზეთის, და არც მთლიანად საქართველოში იმპერიის მიერ დატრიალებული სხვა ტრაგედიების გამო, რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას არ აპირებს და სპიკერის პატრიოტული აღტყინებაც მხოლოდ და მხოლოდ კარგად გამიზნული მორიგი პოპულისტური ჟესტია.

აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარაში ტრიუმფით ჩატარებული არჩევნების ფონზე, სპიკერის "რადიკალური" განცხადება სულ სხვა ელერადობას იძენს.

როგორც ყოველთვის, ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა - აფხაზეთის საკითხის გამწვავება და მეზობელ სახელმწიფოში გადატრიალების მცდელობა. ასეთია იმპერიის ახალი პოლიტიკური კურსი - დესტაბილიზაცია კავკასიაში, რაც მას საშუალებას მისცემს ჩეჩნეთში წაგებული ომი კავკასიის სხვა რეგიონებში მოიგოს.

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან "სამშვიდობო ჯარის" გალიზიანებაც ამას უნდა ნიშნავდეს, რადგან შეიარაღებული გზით აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტა რუსეთთან ომის გამოცხადებას ნიშნავს, საქართველოს დამარცხების და აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვის სრული გარანტიებით. ამ გარანტიებს რუსეთი ფაქტობრივი ხელისუფლებისგან იღებს არსებული რეჟიმის ხელშეუხებლობის სანაცვლოდ.

ყოველივე ამის განხორციელება ჯერჯერობით რუსეთის პერსპექტიულ გეგმად რჩება, მაგრამ მას უკვე დასტური აქვს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

ასე რომ, აფხაზეთის კოზირი კვლავ ძალაშია.

*ქეთევან ქურდოვანიძე*

# შევარდნაძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი მთავარი მოწინააღმდეგე ბრძოლისთვის შემართული ქართველობა

**27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის სამი წლისთავზე, აფხაზეთიდან დევნილთა მანიფესტაცია სასტიკად იქნა დარბეული ქაშუეთის ეკლესიასთან**

ამ დღეს პოლიციის რაზმები აკონტროლებდნენ რუსთაველის პროსპექტს. ადრე დილიდან ალყაში იყო მოქცეული მერაბ კოსტავას ეზოც, თუმცა, რამდენადაც ცნობილია, იქ არავითარი აქცია არ ყოფილა დანიშნული. პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმებით, გისოსებიანი მანქანებით იყო გადაჭედილი მშრალი ხიდისა და სანაპიროს ბაღის მიდამოები. მახლობლად არატისტთა ლიდერებზე, არამედ საქართველოს არსებული ხელისუფლებისა და პერსონალურად შევარდნაძის მისამართით.

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდენტმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა არ დაიშურა კომპლიმენტები დევნილთა კავშირის მესვეურთა მიმართ, მაგრამ იქვე მწვავედ დასვა ხელისუფლის მოსახსენებლად. [illegible] რავლესობა [illegible] მართა, ხოლო ნაწილი [illegible] ამავე დღეს, 15.00 საათზე "დედაენის" ძეგლთან დანიშნული იყო "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიტინგი.

მანიფესტანტებს ქაშუეთის ეკლესიასთან დაახვედრეს სპეცდანიშნულების ...

კი, "დედაენის" ბაღში, დღის 13. 00 საათზე, "აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის" ინიციატივით, გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. აქციაზე მრავლად იყო რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო ლოზუნგები, პლაკატები სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით. ხალხში კი აშკარად ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილება სუფევდა, ბევრი იმასაც კი ამბობდა, რომ ეს აქცია რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლის წინ უნდა ჩატარებულიყო და არა აქ. ისიც არ დარჩენილა შეუმჩნეველი, რომ სიტუაციას, უშუალოდ გამომსვლელთა გარშემო, პოლიციასთან ერთად, ედპ-ს სარიშვილისეული ფრთის ყმაწვილები აკონტროლებდნენ.

აღსანიშნავია, რომ დევნილთა კავშირის მიერ ადრე, 19 ივნისს, რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით ჩატარებული აქცია არ გამოირჩეოდა მსგავსი ხალხმრავლობით. ამჯერად კი დევნილთა გამოსვლას მხარდაჭერა გამოუცხადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, რადიკალური ფრთის პარტიებმაც. თუმცა, თავად მიტინგის დროს მათი აქტიურობა ნაკლებად შეიმჩნეოდა. გამომსვლელთა შორის მეტწილად იყვნენ დევნილთა კავშირის მესვეურები, ყოფილი და ამჟამინდელი პარლამენტარები. თუმცა, მათ გამოსვლებშიც კი აშკარად შეიმჩნეოდა ხელისუფლების საწინააღმდეგო ნოტები.

მიუხედავად ამისა, მიტინგის მონაწილენი სტვენითა და უარყოფითი შეძახილებით შეხვდნენ ირაკლი ქადაგიშვილს, ირაკლი ბათიაშვილს, ნოდარ ნათაძეს და, განსაკუთრებით, გენო კალანდიას.

საგულისხმოა, რომ ყველაზე მეტი მხარდაჭერა ჰპოვეს იმ გამომსვლელებმა, რომლებიც არ მოერიდნენ თავდასხმას არა მხოლოდ რუსეთისა და აფხაზ-სეპ-

ლების პრობლემა. მისი თქმით, არსებულ ხელისუფლებას არ შეუძლია აფხაზეთის საკითხის გადაჭრა და საჭიროა ახალი ეროვნული ხელისუფლების არჩევა. ამ აზრს შეკრებილთა მქუხარე ტაში მოჰყვა.

სულისშემძვრელი იყო შვილმკვდარი დედის, ქალბატონ ნაირა კალანდიას გამოსვლა, რომლის მგზნებარე სიტყვამ ცრემლები მოჰგვარა არა მხოლოდ მასსავით გამწარებულ დევნილებს.

მიკროფონის მახლობლად საქართველოს ჰელსინკის კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის წარმომადგენელთა გამოჩენამ აშკარა მღელვარება გამოიწვია ხალხში. გაისმა შეძახილები - "მიეცით სიტყვა, ამათ რომ გვასმენინებთო". დევნილთა კავშირის ლიდერებს შეშფოთება შეეტყოთ და ჩვენც იქით მივაშურეთ. დევნილთა კავშირის მესვეურები, რატომღაც ძლიერ დაბნეულები, ცდილობდა დაერწმუნებინა ჰელსინკის კავშირის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის წევრები, რომ არ ღირს დღეს აქ მათი გამოსვლა. საქმეში ჩაერთვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი აქტიური ყმაწვილებიც და შეეცადნენ მიკროფონის გარშემო კორდონის შექმნას.

სწორედ ამ დროს მიკროფონთან გამოჩნდა ზურაბ ქაფიანიძე. ამან მახლობლად მყოფი დევნილების აღშფოთება გამოიწვია - ეგ რად გვინდა, ჩვენები ალაპარაკეთო, და ერთ-ერთი წინ გაიწია კიდეც. მიტინგის წამყვანებმა აქ კი დათმობა არჩიეს, ხოლო მიკროფონთან მივიდა ბატონი ვალერი გერგედავა, რომელმაც აფხაზეთში შვილი დაკარგა და ომის მთელი სიმწარე იწვნია.

მიტინგის ბოლოს შეკრებილთ მოუწოდეს, მანიფესტაციით წასულიყვნენ 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან, სანთლები დაენთოთ საქართველოსთვის თავგანწირული ყველა მამულიშვილის სუ-

ნაწილები და გადაუკეტეს 9 აპრილის მემორიალისკენ მიმავალი გზა. დევნილთა კავშირის ხელმძღვანელები უმალ შეეცადნენ ხალხის განწყობილების მართვას. ზურაბ პაპასკირმა მოუწოდა მანიფესტანტებს - "მოდით, აქვე, ეკლესიასთან დავანთოთ სანთლები, თან პირით აფხაზეთისკენ დავდგეთო". მაგრამ შეკრებილებმა არ ისურვეს - "ჩვენს შვილებსა და 9 აპრილის გმირებს ერთად უნდა დავუნთოთ სანთლებიო". საქმეში ჩაერთო პოლიცია და ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი დამრბევები. უცხოეთის საინფორმაციო სამსახურების კორესპონდენტების თვალწინ, გამეტებით დაერივნენ ხალხს, წიხლები და ხელკეტები არ დაიშურეს შავოსანი დედებისთვის. ერთ-ერთი ქალბატონი, დაღუპული შვილის სურათით ხელში, მჯიღით იწმენდდა ცრემლებს და წყევლას უთვლიდა ედუარდ შევარდნაძეს: "შენ დააქციე ჩემი ქვეყანა და ჩემი ოჯახი. შენ არ გაიხარე, შენ გამწარდი ისე, როგორც ჩვენ გაგვამწარეო".

* * *

საქართველომ აღნიშნა კიდევ ერთი ტრაგიკული იუბილე. აღნიშნა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო - ოფიციოზური ღონისძიებით ვაკის პარკში, ოპოზიციის შეუწყობელი მრავალხმიანობით, პოლიციის ალყებითა და დარბევით. და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ აფხაზეთშიც, თბილისშიც და მთელს საქართველოში - არსებული ხელისუფლებისა და პირადად შევარდნაძის მთავარი მოწინააღმდეგეა არა სეპარატისტული რეჟიმები, ან რუსის ჯარი, არამედ აქტიური, ბრძოლისთვის შემართული ქართველობა.

*მამუკა ტუსიშვილი*

# დასავლეთს პანიკურად ეშინია რუსეთის დაშლის

**ინტერვიუ ბრიტანეთის ჰელსინკის ჯგუფის წევრთან, მარკ ალმონდთან**



**მარკ ალმონდი დასავლეთში კარგად ცნობილი ისტორიკოსი და პოლიტოლოგია. ოქსფორდის ორიელ ქოლეჯში კითხულობს თანამედროვე მსოფლიოს ისტორიას; არის ევროპის უშიშროებისა და სტრატეგიული განვითარების ინსტიტუტის ექსპერტი. გარდა იმისა, რომ ბრიტანეთის რადიოთი და ტელევიზიით სისტემატურად გადაიცემა მისი ანალიტიკური კომენტარები, მარკ ალმონდი თანამშრომლობს ისეთ პოპულარულ გამოცემებთან, როგორიც არის "თაიმსი", "სპექტატორი", "დეილი მეილ", "ნეშნლ ინთერესთ", "უოლ-სთრით ჯორნალ" და სხვა. გამოცემული აქვს წიგნები აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ისტორიაში. სულ ახლახან გამოვიდა მისი ახალი ნაშრომი - "რევოლუციების 500 წელი". საქართველოში უფრო მეტად ცნობილია მარკ ალმონდის მოღვაწეობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. "თავისუფალი საქართველო" მკითხველს სთავაზობს ინტერვიუს, რომელშიც მეტ-ნაკლებად სრულად აისახება მარკ ალმონდის პროფესიული და ჰუმანიტარული ინტერესების უფართოესი სპექტრი (ინტერვიუ დაიბეჭდება გაგრძელებებით).**

კორესპონდენტი: - თავდაპირველად მინდა ვისაუბროთ ჩეჩნეთის შესახებ. როგორც იცით, მოლაპარაკება მეტ-ნაკლებად წარმატებით დასრულდა. როგორ ფიქრობთ, რით არის ეს ცვლილება გამოწვეული? რატომ შეწყვიტეს რუსებმა ბრძოლა? მათ ბრძოლის გაგრძელება აღარ შეუძლიათ, თუ რაიმე ცვლილება მოხდა რუსეთის პოლიტიკაში?

მარკ ალმონდი: - მე არა მგონია, რომ რუსულ პოლიტიკაში მოხდა რაიმე ცვლილება... უბრალოდ, 1994 წელს ელცინს, გრაჩოვს და სხვებს ნამდვილად სჯეროდათ, რომ ისინი სწრაფად შეძლებდნენ ჩეჩნეთის დამარცხებას, რუსეთის მხრიდან უმნიშვნელო დანაკარგებით. მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს არ მოხერხდა. ახლა, ჩემი აზრით, სიტუაცია ასეთია: რუსებმა ჩათვალეს, რომ დუდაევის სიკვდილის შემდეგ, უკეთეს რეზულტატებს მიაღწევენ, თუ შეასუსტებენ დაწოლას ჩეჩნეთზე. მათ ესმით ის, რაც დასავლეთში არ ესმით - ძალიან ხშირად, როცა გარედან თავსმოხვეული უხეში ზეწოლა იხსნება, წინააღმდეგობის უნარიც სუსტდება. დიდი განსაცდელის პირობებში ადამიანები უფრო მეტ გამძლეობას ავლენენ.

იგივე პრობლემაა ჩრდილოეთ ირლანდიის გარშემო. ბევრი ფიქრობს, რომ სისხლიანი ექსცესები ხელს უწყობს ირლანდიაში უკუქმედების გაძლიერებას. განუწყვეტელი შემოტევები და მხვერპლი რომ არა, 2-3 წლის მანძილზე ადამიანები მოდუნდებოდნენ, მიეჩვეოდნენ მშვიდობას და, ძალადობის ახალი ტალღის დაწყების შემთხვევაში, უკვე ველარ გაუწევდნენ მტერს წინააღმდეგობას.

შესაძლოა, ყველაფერი უფრო მარტივად არის და რუსეთი, უბრალოდ, შეეცადა როგორღაც დაეღწია თავი იმ უსიამოვნებებისგან, რომელიც მას ამ ომმა მოუტანა.

სიმართლე რომ ვთქვათ, რუსებმა ვერ განსაზღვრეს, რა გადაულახავი წინააღმდეგობა დახვდებოდათ ჩეჩნეთში. მათ, როგორც ჩანს, ჩეჩნების დაყოფისა და დაქსაქსვის იმედი ჰქონდათ. ამდენად, ჩეჩნეთის დამარცხება ეიოლებოდათ. ჩეჩნების წინააღმდეგობა რუსებისთვის მოულოდნელი იყო.

(გაგრძელება მე-4-ე გვერდზე)

# ყველამ უნდა დაინახოს, რომ ლტოლვილებში მებრძოლი ძალაა

**"დედაენის" ბაღში გამართული მიტინგის შემდეგ მოვიკითხეთ საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრი, აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ავთანდილ დავითაია, რათა მას კომენტარი გაეკეთებინა მომხდართან დაკავშირებით.**

- ბატონო ავთანდილ, ჰელსინკის კავშირმა მხარი დაუჭირა დევნილთა აქციას და მოუწოდა საზოგადოებას, მოსულიყვნენ ამ მიტინგზე. მიუხედავად ამისა, თქვენ დღეს სიტყვით აქ არ გამოსულხართ. რითი აიხსნება ეს?

- ჩვენთვის თვითმიზანი არ იყო მიკროფონთან მისვლა. ჩვენ გვინდოდა, რომ აფხაზეთიდან დევნილთა საპროტესტო აქცია რაც შეიძლება ხალხმრავალი ყოფილიყო და ყველას - არსებულ რეჟიმსაც და მთელ მსოფლიოს - დაენახა, რომ დევნილები არ არიან დაფანტული დაქსაქსული, ამორფული მასა; რომ ესაა ძალა, პოლიტიკურად მომზადებული მებრძოლი ძალა. და როგორც ნახეთ, მიზანს მივაღწიეთ. ხალხის სტრესიდან გამოსვლის პროცესი დაიწყო. თუ რა გზით განვითარდება იგი, ეს ჩვენზეცაა დამოკიდებული და შემდგომშიც არ დავიშურებთ ძალისხმევას ამ მიმართულებით. ჩვენ მოვერიდეთ სიტუაციის გამწვავებას, პირიქით, დავაწყნარეთ კიდეც აღელვებული ხალხი და სწორედაც მოვიქეცით. ჩვენი პოზიცია მათ მიმართ, ვინც ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამს საქართველოს კეთილდღეობისთვის, იქნება მტკიცე, პრინციპული და კონსტრუქციული.

რაც შეეხება მიტინგის ორგანიზატორებს, ვფიქრობ, მათ მეტი დაფიქრება მართებთ. ყველა ყველაფერს ხედავს და თავისი დასკვნებიც გამოაქვს. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ დღეს აქ გამომსვლელთა ნაწილი მიუღებელია ხალხისთვის. და ასე იქნება მანამ, სანამ ხალხი არ დაინახავს, რომ ისინი რეალურად იღვწიან სამშობლოს საკეთილდღეოდ, საქართველოს ინტერესებისთვის და არა მომავალი არჩევნებისთვის ქულების დასაგროვებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროკურატურის შუამდგომლობა კვლავ დაკმაყოფილებულია

უზენაესი სასამართლოს სხდომაზე კიდევ ერთი უტყვი მოწმე გამოჩნდა - დაცვის მხრიდან წარმოდგენილი ხობელი მოქალაქე ჯუმბერ ლატარია, რომელიც თავისივე განცხადების საფუძველზე იყო დასახელებული დამატებით მოწმედ, მაგრამ, რატომღაც, მისი გამოჩენა გვიანდებოდა. ამჯერად ხობის პოლიციამ "უზრუნველყო" ლატარიას სასამართლო პროცესზე გამოცხადება, თუმცა იგი, ჩვენების მიცემის ნაცვლად, დუმდა. მოსამართლის ტონის აწევის შედეგად მოწმემ დაადასტურა, რომ განცხადება, რომელშიც ითხოვს დაკითხვას ქობალიას ბრალდების საქმესთან დაკავშირებით, როგორც ხობში მომხდარი მკვლელობის მოწმე, ნამდვილად მისი დაწერილია. კითხვაზე, თუ რატომ დაწერა ასეთი განცხადება, უპასუხა: "ეს ჩემი შეცდომა და დანაშაულია." ამგვარად, ჯუმბერ ლატარიამ სასამართლოს ჩვენება არ მისცა და იგი, ზედმეტი კითხვების გარეშე, სასწრაფოდ გაისტუმრეს.

ადვოკატმა ფანქველაშვილმა წარმოადგინა ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მიერ გაცემული ცნობა მოწმედ დაკითხული გენო ქაჯაიას ჯანმრთელობის შესახებ, თან დასძინა: "სპეციალისტთა აზრით, აღნიშნული დიაგნოზი ადასტურებს, რომ მოწმე ქაჯაია შეურაცხადია". მოსამართლე ალადაშვილი მისთვის ჩვეული დამცინავი ტონით შეეკამათა: "ეს სხვადასხვაა, შეიძლება ავადმყოფია, მაგრამ შერაცხადი." საინტერესოა, შეურაცხადობა - შერაცხადობის საკითხი დისპანსერის კომპეტენციაში შედის, თუ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის? ანდა სასამართლო არ უნდა დაინტერესდეს ექსპერტიზის დანიშვნით, მით უფრო, რომ კოლეგიის თავმჯდომარის სახელზე შემოსულია მოწმის მეუღლის, მარინა ქაჯაია-ქანთარიას განცხადება. რომელშიც იგი წერს, რომ მისი მეუღლე გენო ქაჯაია 1991 წლიდან პერიოდულად სტაციონარულ მკურნალობას იტარებდა სოხუმის რაიონის სოფ. განახლების ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ექიმ მგალობლიშვილთან, აგრეთვე თბილისის რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამყრელიძესთან.

იმავე სხდომაზე პროკურატურის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შეწყვეტის შესახებ. დაცვის მხარემ შემხვედრი შუამდგომლობით უპასუხა - მოითხოვა თენგიზ კიტოვანის დაკითხვა, რომელიც აცხადებს, რომ იცის ბოლქვაძის მკვლელის ვინაობა. ამგვარად, დაცვა მოწმეთა დაკითხვის შეწყვეტის წინააღმდეგ წავიდა ისევე, როგორც თვით განსასჯელი ქობალია, რომელმაც განაცხადა: "თუ საკმარისი იყო დაკითხული 247 მოწმე, პროკურატურამ 512 რატომ წარმოადგინა?"

მიუხედავად ამისა, მოსამართლე ალადაშვილმა, მსაჯულებთან ადგილზე თათბირის ინსცენირების შემდეგ, განჩინებით გვამცნო, რომ შეწყდა მოწმეთა დაკითხვა. ამრიგად, კიდევ ერთხელ დადასტურდა - დღევანდელი უზენაესი სასამართლო ბრალმდებლის ფსიქოლოგიის მატარებელია. ამიტომაა ასე ხმაშეწყობილი მისი დუეტი პროკურატურასთან. ამიტომ რეაგირებენ ასე კარგად ისინი დირიჟორის ჯოხის ყოველ მოძრაობაზე.

ამჟამად ნ. მოლოდინაშვილის, ზ. ძიძიგურის, ჯ. ბოკუჩავასა და . ქობალიას სასამართლო პროცესი დასასრულს მიუახლოვდა, სხდომები დროებით შეწყვეტილია - 7 ოქტომბრამდე. მონაწილეები ემზადებიან მხარეთა კამათისთვის. უზენაეს სასამართლოში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, სასამართლო პროცესის ამ გადამწყვეტ ეტაპს განსასჯელები არ დაესწრებიან.

# "ყვარლის საქმე" გრძელდება

1996 წლის 12 სექტემბერს დააპატიმრეს ე.წ. "ყვარლის საქმის" გამო ერთ-ერთი ბრალდებულის ძმა - მიხეილ (ნუკრი) მიხეილის ძე იორამაშვილი. იგი დაკავებულ იქნა შვილთან ერთად, სოფელ ლეკეთიდან ყვარელში მიმავალი. შინაგან საქმეთა ყვარლის პოლიციის რაიგანყოფილების თანამშრომლებმა, მათთვის ჩვეული ოპერატიულობით, განახორციელეს "ურთულესი" ოპერაცია და დროულად გააუვნებელყვეს "საშიში დამნაშავე". როგორც ჩვენთვის ცნობილია, პოლიციელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა გასროლასაც, რის შედეგადაც შვილი ინსტინქტურად გადაეფარა მამას. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. მოგვიანებით შვილი გაათავისუფლეს, ხოლო მიხეილ იორამაშვილი 1996 წლის 17 სექტემბერს გადმოიყვანეს თბილისში, № 1 საგამომძიებლო იზოლატორში.

შს ყვარლის რაიგანყოფილების მტკიცებით, მიხეილ იორამაშვილი 1992 წლიდანვითომდა იძებნებოდა ე.წ. "ყვარლის საქმესთან" დაკავშირებით (საქმე № 7792809). ამ საქმის მასალების თანახმად, იგი იყო ეჭვმიტანილი იმაში, რომ მიუტანა ბრალდებულ პირებს პური და საჭმელი. მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ სინამდვილეში მიხეილ იორამაშვილი ამ წლების მანძილზე არსად დამალულა, ცხოვრობდა საკუთარ სახლში, მისთვის არავის მიუკითხავს.

**№317-610**

**17 სექტემბერი, 1996 წელი**

**რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრს ა.ს.კულიკოვს**
**ასლი: რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრს ვ.ა. კოვალიოვს**

**პატივცემულო ანატოლი სერგეის ძევ!**

მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1996 წლის 25 აგვისტოს "НТВ"-ს არხით გადაცემული სიუჟეტის შემდეგ, რომელიც ქართველ პოლიტემიგრანტთა მოსკოვურ ცხოვრებას ეხებოდა, საქართ ელოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ, რუსეთის გენერალური პროკურატურის მისამართით, გამოგზავნილია განცხადება გ.აბსანძის, ნ. ბურჭულაძის და სხვათა გადაცემის მოთხოვნით. მიუხედავად ამ პირთა მიერ რამენაირი დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი სასამართლო გადაწყვეტილების არარსებობისა, საქართველოს რესპუბლიკის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ამჟამად ადგილი აქვს მტკიცებებს მათი მოღვაწეობის დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ.

მინდა შეგახსენოთ, რომ 1996 წლის 19 მარტს საქართველოსთვის პოლიტემიგრანტ ე. მესხიას გადაცემა განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს 1996 წლის 15 მარტის №278/უტპჩ გადაწყვეტილების დარღვევით. ამ გადაწყვეტილებაში კერძოდ მითითებულია, რომ დაუშვებელია იმ პირთა ექსტრადიცია, რომელთა მიმართ არ არსებობს კონკრეტულ ქმედებაში დამნაშავედ ცნობის დამადასტურებელი საქართველოში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.

აღნიშნულმა ექსტრადიციამ რუსეთის და საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი პროტესტები გამოიწვია. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფო დუმის დეპუტატთა ჯგუფმა მიმართვა გაუგზავნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთშორისო ასამბლეას; "ემნისთი ინთერნშნლ"-მა ღია წერილი გამოაქვეყნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის კანდიდატთა მისამართით, სადაც ხაზგასმული იყო ეს თემა. სწორედ ზემოხსენებულმა ექსტრადიციამ გადააწყვეტინა რუსეთის ფედერაციის დუმას, მიეღო დადგენილება "პოლიტიკური მოტივებით პირთა გადაცემაში დამნაშავეთა პასუხისმგებლობის" შესახებ.

ამა წლის ნოემბერში გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტში დაგეგმილია საქართველოში წამების მეთოდების მასიური გამოყენების საკითხის განხილვა. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებდით მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონვენციებს, რომელთა პრინციპების საწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა მოქალაქეთა გადაცემა იმ ქვეყნისთვის, სადაც დადასტურებულია ადამიანთა მიმართ წამების მეთოდების გამოყენება და სადაც გადაცემულ პირთა სიცოცხლეს უთუოდ დაემუქრება პირდაპირი საშიშროება.

**პატივისცემით,**

**სახელმწიფო დუმის დეპუტუტი,**
**დსთ-ს საქმეების და თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის**

**თავმჯდომარის მოადგილე**

*ვ. იგრუნოვი*

# საქართველო კვლავ მოითხოვს, გადმოსცენ ზვიადისტები

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ჯ. ბაბილაშვილმა წერილით მიმართა თავის რუს კოლეგას იური სკურატოვს, დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლების სამი წარმომადგენლის გადმოცემაში. ესენი არიან: პარლამენტის თავმჯდომარე ნემო ბურჭულაძე, საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ გელანტია და ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე. მათ ბრალად ედებათ ბანდიტიზმი, სამშობლოს ღალატი და ფინანსური მაქინაციები. ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ, დატოვეს რა საქართველო, ოფიციალური თბილისის ცნობით, მათ გაიტანეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ორასი მილიარდის ოდენობით მატერიალური ფასეულობები. 1993 წელს, დასავლეთ საქართველოში ზვიადისტების გააქტიურების დროს, ბურჭულაძე, გელანტია და აბსანძე მონაწილეობას ღებულობდნენ ამბოხებაში, მაგრამ სამთავრობო ჯარების გამარჯვების შემდეგ, თვალს მიეფარნენ.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ორჯერ - 1994 და 1995 წლებში - მიმართა მოსკოვს თხოვნით, გაუწიოს დახმარება საშიში პოლიტიკოსების მოძიებაში. გასული წლის სექტემბერში თბილისს აცნობეს, რომ ძებნილთა ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა. და აი, 1996 წლის 25 აგვისტოს მათ თავად "ამოყვინთეს" - ინტერვიუ მისცეს "ნტვ"-ს არხის პროგრამა "სეგოდნია"-ს. საქართველოს პროკურატურამ გამოიტანა დასკვნა, რომ ძებნილები იმყოფებიან მოსკოვში ან მის მახლობლად (ეს საცნაური იყო ტელესიუჟეტიდან), შეახსენა რუს კოლეგებს სამართლებრივ სფეროში სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების შესახებ და, შესაბამისად, მოსთხოვა ზვიადისტების გადმოცემა. მანამდე თბილისმა არაერთხელ დასვა საკითხი უშიშროების სამსახურის ექსშეფის, იგორ გიორგაძის გადმოცემის შესახებ, მაგრამ ეს თხოვნები არ იქნა შესმენელი.

*მიხეილ ვიგნანსკი*

**თბილისი**

**გაზეთი "სეგოდნია",**

**11. 09.96**

# რა ელით "ბიჭებს"?

უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს 18 მხედრიონელის, მათ შორის, ცნობილი "მაჭახელას" საქმის განხილვა. მოსამართლე ლ. საყვარელიძე და პროკურორი გ. ხაბაშვილი ამჯერად ახალ ამპლუაში წარდგნენ საზოგადოების წინაშე. ისინი, ვინც კარგად იცნობენ პოლიტიკური სასამართლო პროცესების მიმდინარეობის სტილსა და არქიტექტონიკას, მოულოდნელად რომ აღმოჩნდენ მხედრიონელთა მიმდინარე სასამართლო სხდომაზე, უეჭველად გაოცდებიან - იმდენად არის შეცვლილი მოქმედ პირთა როლები: აღარ იგრძნობა მოსამართლე-პროკურორის შეთანხმებული ანსამბლი, სიტუაციას განსასჯელები წარმართავენ - არავინ ზღუდავს მათ რეპლიკებს ან მოწმეთა მიმართ მუქარას. ხშირად დამცველის როლში მოსამართლე გამოდის, ხოლო ეულად დარჩენილი პროკურორი იძულებულია გააქტიურდეს, რათა დაამტკიცოს, რომ მუქთა მჭამელი არ არის.

კახეთის რეგიონის "მაშველთა" კორპუსის ამ ჯგუფს, რომელსაც დღეს ასამართლებენ, არც სამშობლოს ღალატში ედება ბრალი, არც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში და არც აფხაზეთის დაკარგვაში. აქ საუბარია 20 ლიტრ ღვინოზე, ათიოდე ტონა ფქვილზე, ერთ ავტომატზე ან მისი საფასურის "შეწერაზე"; მოდიან უცნაური მოწმეები და დაზარალებულები, რომლებიც ზოგჯერ უარს აცხადებენ ჩვენების მიცემაზე, რისთვისაც მათ არ ემუქრებიან და არ აპატიმრებენ, არც ხელბორკილებით მოჰყავთ სასამართლოს კარამდე, როგორც ეს პოლიტიკური პროცესების პრაქტიკაშია მიღებული; თუ ბრალი ედებათ იარაღით მუქარაში - ბრალდება ეჭვქვეშ დგება, რადგან მათ ხომ იარაღის ტარების უფლება ჰქონდათ და, ეროვნული გვარდიისგან განსხვავებით, დღესაც კი არავინ უწოდებს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას; ნებისმიერი სახის მუქარას ადვილად ეძლევა "საუბრის" ან "თხოვნის" კვალიფიკაცია და ხშირად გაურკვეველი რჩება, ახლდა თუ არა ამ "საუბარს" იარაღის გასროლა; სიმპათიას ვერც ზოგიერთი დაზარალებული იმსახურებს - მაგალითად, გაურკვეველი ეროვნების პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც ავტომატი წაართვეს, განსასჯელის რეპლიკას თუ ვენდობით, იარაღით მოვაჭრე ყოფილა, ამიტომაც მისი "შევიწროება" დიდ ცოდვად დიახაც რომ არ ეთვლებათ უახლოეს წარსულში ასე ნაფერებ მხედრიონელებს.

დაზარალებულმა, წინანდლის ღვინის ქარხნის დირექტორმა, თამაზ ხიდაშელმა უარყო წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენება იმის თაობაზე, რომ ადგილი ჰქონდა მის მიმართ სიკვდილით მუქარას. ქარხანაში დაცული ღვინისა და კონიაკის მასალის მთელი მარაგის გაქრობის შესახებ არაფერი იცის, რადგან ეს მისი საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში მოხდარა და კონკრეტულად, თურმე, ვერავის დაადებს ხელს. მხოლოდ ოციოდ ლიტრი ღვინო გაუგზავნია ერთ-ერთი განსასჯელის თხოვნით და ისიც, როგორც სასამართლოზე გაირკვა, ერთად მიურთმევიათ დაზარალებულსა და მოძალადეს. თურმე ნუ იტყვით, პირველი ჩვენება მას ვინმე ბარხუდანაშვილისა და სხვათა მოტყუებითა და წაქეზებით დაუწერია. ეს უკანასკნელი ადრე ჯაბა იოსელიანის მეგობრად ასაღებდა თავს და მისი სახელით სარგებლობდა. სასამართლო პროცესზე იმდენად ლიბერალური, "აპოლიტიკური" განწყობილება სუფევს, რომ დაზარალებულმა ხიდაშელმა საჭიროდ არ ცნო დაემალა თავისი განცვიფრება - ეს "ბიჭები", ადრე მალხაზები და მერცხლები რომ იყვნენ, ახლა ციხეში რატომ არიანო. ამგვარად, დაზარალებულმა თავისი არტისტული და ომახიანი ჩვენება ნახევრად პოლიტიზირებული მიამიტობით დაასრულა, რის გამოც მოსამართლის მოკრძალებული შენიშვნა დაიმსახურა - თავი სცენაზე ხომ არ გგონიაო.

თუ "მხედრიონელთა" სასამართლო პროცესები ამგვარ საყოველთაო მიმტევებლობისა და დაუფარავი კეთილგანწყობის ატმოსფეროში წარიმართება, მაშინ ისინი მართლაცდა უმანკო კრავებად წარმოჩინდებიან საზოგადოების თვალში. როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამოტანილი განაჩენების პრაქტიკა გვიჩვენებს, მათ მიმართ სასჯელის ზომა უმეტესად პლუს-მინუს ხუთი წლით განისაზღვრება და ათი წლის ფარგლებს არ გადააჭარბებს (კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის დამკვიდრებული სტანდარტია - ათს ზემოთ და "სასჯელის განსაკუთრებული ზომა"). ასეთ შემთხვევაში, ეს ერთხელ შეცდენილი "ბიჭები" ერთ-ორ წელიწადში დაიბრუნებენ თავისუფლებას და კვლავ სრულ მზადყოფნაში დაელოდებიან უხილავი დირიჟორის ნიშანს, რათა ფენიქსივით აღდგნენ სხვადასხვა სახელწოდების კრიმინალურ ან, შეიძლება, ოპერატიულ ჯგუფებად და იარაღით ხელში შეასრულონ ბრძანება...

ამ დროისთვის მათ, როგორც ნასამართლევ პირებს, უკვე არჩევანის უფლებაც კი აღარ ექნებათ.

# სასამართლო კვლავ განსასჯელების გარეშე

24 სექტემბერს, დიდუბის რაიონის სასამართლოში მიმდინარე თენგიზ კიტოვანის, ვალერი ფისუნისა და ირაკლი სურგულაძის სასამართლო პროცესზე სრულიად მოულოდნელი გარდატეხა მოხდა. მოსამართლე სოსო ხურციძემ თითქმის ერთი კვირით ადრე მიიღო გადაწყვეტილება, სამსჯავრო გამოძიების ეტაპზე დაეწყოთ საქმის მასალების გამოქვეყნება, ხოლო როცა შეიქმნებოდა დამატებითი მოწმეების მოყვანის პირობები, გაეგრძელებინათ მოწმეთა დაკითხვა. განსასჯელებსა და მათ ადვოკატებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

23 სექტემბერს სასამართლო სხდომა არ შემდგარა ფეხბურთის მატჩის გამო, ვინაიდან სასამართლოს შენობა "დინამო"-ს სტადიონის მახლობლად მდებარეობს. ხოლო მეორე დღეს, განსასჯელთა სრულიად უვნებელი პროტესტის შედეგად, პროკურორის მოთხოვნით, სამივე განსასჯელი გაძევებული იქნა სასამართლოს დარბაზიდან. უკვე მეორე დღეს პროკურორმა კახა კობერიძემ (შეგახსენებთ, რომ იგი წარმოადგენდა სახელმწიფო ბრალდებას "ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების" საქმეზე და სწორედ მისი მოთხოვნით გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს) წარმოთქვა თავისი საბრალდებო სიტყვა და განსასჯელთა დაუსწრებლად მოითხოვა: თენგიზ კიტოვანს მიესაჯოს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვალერი ფისუნს - 7 წლით, ხოლო ირაკლი სურგულაძეს - 3 წლით.

მაშ ასე, დასასრულს უახლოვდება კიდევ ერთი გახმაურებული სასამართლო პროცესი და კვლავ განსასჯელთა გარეშე. გასაოცარია, რომ საქართველოში არსებული სასამართლო სისტემის პირობებში, ყველა თვალსაზრისით განსხვავებული საზოგადოებრივი ჟღერადობის საქმეები ერთი და იმავე პრინციპით განიხილება, მოსამართლეები ერთი და იმავე, კანონთან შეუსაბამო ლოგიკით ხელმძღვანელობენ, უკრიტიკოდ ეთანხმებიან პროკურორების ნებისმიერ მოსაზრებას და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, უკვე წესად იქცა განსასჯელთა მაგივრად - ცარიელი სკამების გასამართლება.

# დასავლეთს პანიკურად ეშინია რუსეთის დაშლის

ზოგჯერ ჩვენ მიდრეკილნი ვართ, რუსებს მივაწეროთ ძალზე ბევრი ჭკუა და წინასწარი დაგეგმვის უნარი. გვგონია, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ან მოხდება, მათი გეგმის ნაწილია. მე გულწრფელად ვფიქრობ, რაც 1994-95 წლებში მოხდა, სრულიად მოულოდნელი იყო რუსეთისთვის. სხვა საქმეა, რომ ამ ომმა ბევრი მანკიერი ტენდენცია გამოავლინა - დასავლეთს პანიკურად ეშინია რუსეთის დაშლის. რუსეთის ყოველი მარცხი დასავლეთისთვის ხდება მიზეზი, რომ თავიდან შეაიარაღოს იგი. საკმარისია რუსებმა დიდი შეცდომები დაუშვან, რომ მაშველთა მთელი რაზმი გამოეშურება გაეროდან, ვაშინგტონიდან, ლონდონიდან, ბონიდან, რათა როგორმე შეალამაზონ დაპყრობის, ძალადობის, ადამიანის უფლებათა ხელყოფის სამარცხვინო, თავისმომჭრელი ფაქტები.

**კორ. - რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა? და თუ ეს შესაძლებელია, რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამას რუსეთისთვის?**

მ.ა. - გააჩნია, კონკრეტულად წარმოიდგენთ ამას თუ აბსტრაქტულად. აქ განსხვავება არსებობს. რასაკვირველია, არის ბევრი პატარა ქვეყანა, ჩეჩნეთზე მცირეც კი, და ისინი დამოუკიდებლები არიან. ხშირ შემთხვევაში მათ ჩეჩნეთზე მცირე პოტენციალი აქვთ. უბრალოდ, ძნელი წარმოსადგენია, რომ რუსეთი ნამდვილად დათანხმდეს ამაზე. რადგანაც ძირითად პრობლემად მაინც ის რჩება, რომ აქ თვით ლიბერალებისთვისაც კი ძნელი წარმოსადგენია რუსეთი იმპერიული ძლევამოსილების გარეშე. და თუკი ლიბერალი ვერ დაუშვებს იმპერიის შესუსტებას, რაღა უნდა მოვთხოვოთ სხვებს - მოსახლეობის ფართო ფენებს, სახელმწიფო ჩინოვნიკებს ან სამხედროებს? მე ვფიქრობ, რომ ძნელი წარმოსადგენია,რუსეთმა გულწრფელად მიიღოს ეს დამოუკიდებლობა. რუსები უცილობლად დაუბრუნდებიან ამ პრობლემას. მათ იციან, რომ დასავლეთი ყველაფერში მხარს დაუჭერს. სწორედ ამიტომ, გაერო უარს იტყვის ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენი ადამიანი იქნება მოკლული ომში, რამდენი იურიდიული თუ ფაქტობრივი არგუმენტი იარსებებს იმისა, რომ ჩეჩნებს არ სურთ რუსების ბატონობის ქვეშ ყოფნა. საუბედუროდ, ყველაფერ ამას დასავლეთი მიუტევებს რუსეთს.

**კორ. - ბოლო ხანებში და დღესაც, დიდია პროპაგანდა რუსეთის უძლეველობაზე, რომ შეუძლებელია ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ. როგორ ფიქრობთ, თუ საქართველო წავა ნამდვილი დამოუკიდებლობისკენ, რუსეთი მიმართავს ღია აგრესიას ჩეჩნეთის მსგავსად.**

მ.ა. - ეს შეკითხვა ისევ იმ პრობლემას უბრუნდება, რომ დასავლეთმა არ ისურვა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წელს. თქვენ ნახეთ, რომ დასავლეთს უნდოდა ეცნო ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობა და არ დააყოვნა ამის გაკეთება. საუბედუროდ, საქართველოსთან მიმართებაში ის ასე არ მოიქცა, რადგან ამ შემთხვევაში შეიქმნებოდა ისეთი სიტუაცია,რომ რუსეთი საქართველოს დაპყრობის აუცილებლობის წინაშე დადგებოდა.. მაგრამ, ჩემი აზრით, ღია აგრესია იმდენად საზიანო აღმოჩნდებოდა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პრესტიჟისთვის, რომ ამაზე წასვლას ვერ გაბედავდნენ.

სწორედ ამიტომ ვიტყოდი, რომ ერთ-ერთი მიზეზი დასავლეთის და საერთაშორისო საზოგადოების მიმართ ჩემი, და არა მხოლოდ ჩემი, კრიტიკული განწყობისა იყო ის, რომ მათ არ უნდოდათ ეცნოთ 1991 წლის არჩევნებში ქართველთა უმრავლესობის მკვეთრად გამოხატული დამოუკიდებლობის სურვილი. ჩემი აზრით, ამის გაკეთება ბრძოლის გარეშეც შეიძლებოდა.

**კორ. - რას ფიქრობთ ელცინის ავადმყოფის შესახებ და როგორ შეიძლება განვითარდეს სიტუაცია, თუ ის უუნარო აღმოჩნდება მართოს ქვეყანა.**

მ.ა. - ელცინის ავადმყოფობა, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ხნისაა, უჩვენებს უკანასკნელი არჩევნების აბსურდულობას, როცა კანდიდატი იმარჯვებს მიუხედავად იმისა, რომ ვერ იმარჯვებს... პირველ რაუნდში. და ტარდება მეორე რაუნდი. ფაქტობრივად, რუსებს სთხოვეს, ხმა მიეცათ გვამისთვის, ჩვენ კი გვთხოვეს, თვალი დაგვეხუჭა ამაზე. აი, ასეთი სახის დემოკრატიასთან გვაქვს საქმე - როცა შესაძლებელია, ყოველგვარი ობიექტური მოცემულობის მიუხედავად, სასურველი კანდიდატურა ფაქობრივად ძალით მიიყვანონ ხელისუფლების სათავეში. ასე რომ, მისი ხელახალი არჩევა, ჩემი აზრით, უბედურებაა რუსეთისთვის. ეს პრინციპის საქმეა. ვიმეორებ - ეს უბედურებაა, რადგან აშკარავებს, რომ პრაქტიკაში არსებობს ელიტა, რომელიც რუსეთის დანარჩენ ნაწილთან დამოკიდებულებაში ერთსულოვანი და დარაზმულია ნებისმიერი დემოკრატიის, ჭეშმარიტი არჩევანის წინააღმდეგ.

სხვა საქმეა, რომ, საუბედუროდ, ეს ნამდვილი, გულწრფელი არჩევანი ამ შემთხვევაში ზიუგანოვია. თუმცა, მისი მომხრეები ფიქრობენ, რომ ზიუგანოვიც კარგი პრეზიდენტი იქნებოდა. რუსეთის ტრაგედია იმაშია, რომ ზიუგანოვი, შესაძლოა, მართლაც არ იყოს ელცინზე უარესი პრეზიდენტი. მეტიც, შეიძლება უკეთესიც კი იყოს თუნდაც იმიტომ, რომ იგი ცოცხალი პრეზიდენტი იქნებოდა. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ელცინის გარშემო გაერთიანდა რუსეთის მთელი პოლიტიკური ელიტა, მან შეძლო მიეღწია ხელახალი არჩევისთვის იმით, რომ გამოიყენა ყველა საშუალება: პრესა, სახელმწიფო ადმინისტრაცია, ე.წ. კერძო მეწარმეების მხარდაჭერა და სხვა შესაძლო ბერკეტები. საქმე ის გახლავთ, რომ ელცინი ყველაზე სასურველი კანდიდატურა იყო, არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ მისივე საკუთარი გარემოცვისთვის. ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, პრეზიდენტის გარშემო, თავი მოიყარა უკიდურესად ამბიციური ადამიანების ჯგუფმა, რომელთაგან თითოეულს - ჩუბაისს, ლებედს, ჩერნომირდინს, ლუჟკოვს - სურვილი აქვს თვითონ გახდეს პრეზიდენტი. და დასავლეთი, რომელიც მიამიტად მიიჩნევს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა, როცა ელცინს დაუჭირა მხარი, თავადაც არ უწყის, როგორი ფეთქებადსაშიში, უკიდურესად დაძაბული სიტუაცია შექმნა რუსეთში. რუსეთში გაგრძელდება ბრძოლა ელცინის მემკვიდრის "პოსტის" მოსაპოვებლად. ოპერაცია წარმატებითაც რომ გაუკეთდეს, ის უკვე ძლივსღა იცოცხლებს, სიარული გაუჭირდება, სახელმწიფოს მართვას ხომ მით უმეტეს ვერ მოახერხებს. ასე რომ, იქნება დაუსრულებელი ბრძოლა ძალაუფლებისთვის.

ზიუგანოვს რომ გაემარჯვა, ნაკლებ ილუზიებს დარჩებოდა ადგილი მეზობელ სახელმწიფოებშიც და დასავლეთშიც. ძალაუფლების საკითხი (ხუთი წლით მაინც) მოხსნილი იქნებოდა დღის-წესრიგიდან. რაც შეეხება კომუნისტურ საფრთხეს, მე მგონი, დღევანდელ რუსეთში არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პარტია, რომელიც სერიოზულად ფიქრობდეს ძველი ყაიდის, რეპრესიული, იდეოლოგიზირებული კომუნისტური რეჟიმის აღდგენაზე. მაგრამ დასავლეთმა ასე გათვალა: თუკი რუსეთში მაინც გარდაუვალია ბრძოლა ძალაუფლებისთვის, ჯობს ეს ბრძოლა წარიმართოს დემოკრატებს შორის და არა, ვთქვათ, კომუნისტებსა და დემოკრატებს შორის.

ხალხის დიდმა რაოდენობამ ამერიკაში, ბრიტანესა თუ გერმანიაში თავი დაირწმუნა, რომ ელცინი, ჩუბაისი, ლებედი, ჩერნომირდინი და ლუჟკოვიც კი, ნამდვილი დემოკრატები არიან და სწორედ დასავლური ტიპის დემოკრატები. მართალია, ისინი სასტიკად იქცევიან ჩეჩნეთში და, ზოგადად, კავკასიაში, მაგრამ მერე რა მოხდა, ეს რუსეთის შინაური საქმეებია. აი, აქ არის მთავარი შეცდომა. ერთ-ერთი ბრიტანელი ავტორი თავის რომანში ასე განმარტავდა კომუნიზმს - კომუნიზმი, ეს არის მსუქანი, ოფლიანი კაცი, რომელიც ტალახში ფარიკაობს, ლაფში და ჭუჭყში იბრძვის. სამწუხაროდ, დასავლეთი მალე დაინახავს მსუქან კაცს - ჩუბაისს, რომელიც იბრძვის ძალაუფლებისთვის ყველა აქედან გამომდინარე სახიფათო შედეგით. მეტი დამაჯერებლობისთვის სხვა ანალოგიაც შეგვიძლია მოვიყვანოთ - როდესაც ვეშაპი დაინახავს პატარა თევზს, იგი დაცურავს მის გარშემო, რათა ხელოვნურად შექმნას მღელვარება ზოოპარკის ბასეინში, გამოიწვიოს ტალღები და ამ "ქარიშხალში" ადვილად მოიპოვოს თავისი მსხვერპლი. ვშიშობ, ანალოგიურ მოქმედებასთან გვექნება რუსეთის შემთხვევაში საქმე. აქ გაჩაღებული ბრძოლა ძალაუფლებისთვის დიდ მღელვარებას გამოიწვევს არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში. მით უმეტეს, რომ რუსეთი სულაც არ არის ზოოპარკის პატარა ბასეინი.

ელცინი რომც გადაურჩეს ოპერაციას, ეს შექმნის სახიფათო მდგომარეობას, ხოლო თუ იგი გარდაიცვლება - ეს ურთიერთ შორის ბრძოლისთვის საუკეთესო პირობებს შეუქმნის ისეთ ხალხს, როგორიცაა ჩერნომირდინი, ლებედი, ლუჟკოვი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

№34 (in brief)

1 - 7 October, 1996

## Police Dispersed the Manifestation of the Refugees

On September 27, the 3 year anniversary of fall of Sukhumi, the manifestation of the refugees from Abkhazia was brutally dispersed in the vicinities of Kashveti Church. That day the police detachments were controlling Rustaveli Avenue. The house of Merab Kostava was also surrounded by the police from the morning though no political action has been planned to be held there on that particular day. That vicinities of Mshrali Khidi and Embankment Park were blocked by the police and special destination detachment and cars with tick gratings. Nearby in the park of "Deda Ena" at 1 p.m. under the initiative of "The Union of Refugees from Abkhazia" was held a populous meeting. The participants of the meeting were holding slogans, posters directed against the Russian policy with demand to withdraw the peace bringing Russian troops from Samachablo and Abkhazia. The people showed unhidden dissatisfaction with the policy of the present day authorities. This time the meeting of the refugees was supported by a number of opposition parties though in the course of the meeting their activity was less expressed.

Among the orators dominated the leaders of the "Union of the Refugees from Abkhazia", former and present parliament members. It is noteworthy that most warmly were met the orators who dared to criticize not only the Russian and Abkhazian separatists leaders but also the present day authorities of Georgia and personally Eduard Shevardnadze.

At the meeting it was stressed that the present day authorities were not able to solve the problem of Abkhazia and that it was necessary to elect the new authorities. This idea was met by stormy applause of the audience.

At the memorial of those perished on April 9 the candles were lit in commemorate of those who sacrificed their lives for the welfare of their mother land. The majority of the participants of the meeting started to move in the direction of the House of Government, the smaller part remaining at the place of meeting since on that day at 3 p.m. was appointed the meeting of the "Round Table" political organizations.

Near the Kashveti Church the manifestants were met by the detachments of special destination who blocked the way leading to the memorial of those perished on April 9. To these detachments joined the police and young but well experienced raiders ho right under the nose of foreign correspondents began to brutally disperse people with truncheons. They did not spare even mourning mothers.

One of the women who was holding the picture of her perished son in her hands was wiping tears and loudly cursing Shevardnadze.

## European Council - New Vision of Abkhazia?

Mr. Zurab Zhvania who has returned fro the Session of European Parliament held in Strasbourg told the society how acutely was discussed the issue of Abkhazia at this international forum. It is noteworthy that Zhvania valued the appeal made by the Strasbourg forum for Russia to take every measures to solve the problem of Abkhazia as a certain positive fact. This is a formulation which after the existing authorities of Georgia is repeated by all international organizations and leaders of the world countries. Similar appeals which actually again charge Russia with coping of this issue are for long time passed in Georgia as the great support of Europe. Only this time the authorities decided to use the testimony of the new international structure - European Council instead of OSCE** and UN which have already discredited themselves in the eyes of Georgian people - to strengthen the myth about their pro-western orientation.

This is only natural, since the peace initiatives implemented under the aegis of OSCE resulted in the process of peaceful foundation of the new republic of Ossetians on the territory of Georgia. It was the result of the joint efforts of Boden and Shevardnadze that the Ossetians made a decision to introduce the Presidential institute in their republic.

At the same time the UN Mission in Abkhazia demonstrates complete inability not only to control the situation but also to obtain more or less significant information about the prisoners of war kept there. This international organization the member of which is Georgia the honor of such membership being considered as the greatest personal contribution of Shevardnadze, actually provides the same shield for implementation of Russian expansionist plans in Abkhazia as did the Mountain Peoples Confederation of Shanibov for Russian armed forces during the war actions.

The European Council is something new from this point of view, since it has not been actively involved in solving the Caucasian problems yet and so far was limited b the role of observers only.

Proceeding from the catastrophic situation inside the country it becomes absolutely necessary to make such agreement with the West, especially considering the oncoming winter. At the same time the mistrust and antipathy towards the authorities is progressively growing inside the country.

Georgia lives under the disaster conditions and the authorities neither are aware of nor want to find the way out of this calamity. The only thing they are able to do is to create new slogans and mirages to suppress at least temporarily the natural protest, justify their existence and the necessity of strict measures.

## "Kvareli Case" Continues

On September 12, 1996 was arrested the brother of one of suspects of the so-called "Kvareli Case" - Mr. Mikeil (Nukri) Ioramashvili. He was detained with his son when they were traveling from the village of Leketi to Kvareli. The officers of the regional department of the internal affairs of Kvareli with their usual promptness conducted "the most difficult" operation and timely neutralized the "dangerous criminal". As it became known to us the policemen opened fire to the father and the son instinctively shielded him with his body. Fortunately nobody was wounded. Later the son was released while Mr. Ioramashvili on September 17, 1996 was transferred to Tbilisi #1 Investigation Isolator.

As Kvareli internal affairs department is claiming Mr. Ioramashvili was under search since 1992 in relation to the so-called "Kvareli Case" (Case #7792809). In accordance with the material of this case he was suspected in supplying the defendants with bread and food. The curious thing in all this is the fact that in reality Mr. Ioramashvili was not hiding anywhere during all this time. In fact he was peacefully living in his own house without any official persons calling for him.

## The Court Hearing is Again Proceeding Without the Defendants

On September 24 the sudden change occurred in the ongoing Court hearing of Tengiz Kitovani, Valeri Physun and Irakli Surguladze case. A week ago the judge Soso Khurtsidze made a decision to publicize the materials of the case at the stage of Court investigation and in case of necessity to interrogate new witnesses to continue with their interrogation. The defendants and their lawyers did not show any objection against this decision.

On September 23 the Court Session was not held because of the football match held at "Dynamo" stadium which is located nearby the Court building. On the second day after absolutely insignificant protest of the defendants the prosecutor demanded to remove them from the Court Hearing Hall and the judge satisfied this demand. It is already the second day that the Prosecutor Kakha Koberidze (he was representing the prosecution in the so-called "Chikovani Street Explosion case" and under his demand Mr. Irakli Dokvadze and Mr. Petre Gelbakhiani were sentenced to death) pronounced his speech for prosecution and in the absence of the defendants demanded to sentence Mr. Tengiz Kitovani with 9 years imprisonment, Mr. Valeri Physun - with 7 years imprisonment and Mr. Irakli Surguladze - with 3 years of imprisonment. Thus, one more much spoken of Court hearing is coming to its end and again the sentence is pronounced in the absence of the defendants. It is amazing that in Georgia under the conditions of existing Court System all cases however different they may be which are nevertheless in the center of the society interest are considered following one and the same principle, the judges are guided with one and the same logic inconsistent with the Law, without any token of criticism agreeing with any idea of prosecution and what is most noteworthy it already has become a rule to try the empty chairs instead of defendants.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441

იბეჭდება ს/ს კეგელში